სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

27.08.2015 #160

თბილისი

2015/2016 სასწავლო წლის სწავლის საფასურის
გადახდის წესის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტებს, გარდა სწავლების პირველი წლის სტუდენტებისა (პირველკურსელებისა), ასევე მობილობის წესით (გარე მობილობა) ჩარიცხული და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისა, მიეცეთ უფლება 2015/2016 სასწავლო წლის სწავლის საფასური გადაიხადონ ოთხ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით: სწავლის საფასურის მინიმუმ ¼ - ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლამდე, ¼ - 2015 წლის 01 დეკემბრამდე, ¼ -სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე, ¼ - 2016 წლის 01 ივნისამდე.
2. სტუ-ს სწავლების ყველა საფეხურის სწავლების პირველი წლის სტუდენტებს (პირველკურსელებს), ასევე, მობილობის წესით (გარე მობილობა) ჩარიცხულ და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებს მიეცეთ უფლება 2015/2016 სასწავლო წლის სწავლის საფასური გადაიხადონ ორ ეტაპად, შემდეგი პერიოდულობით: სწავლის საფასურის მინიმუმ ½ - ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლამდე, ½ - სასწავლო წლის მეორე სემესტრის დაწყებამდე.
3. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილებზე და გამოქვეყნდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განახორციელონ სტუ-ს ფაკულტეტების დეკანებმა და მენეჯერებმა.
5. ბრძანება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

*ვიზები:*

*ადმინისტრაციის ხელმძღვანელი*

*ქ. ქოქრაშვილი*

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის

უფროსი *ბ. მაისურაძე*